საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ელიტების ტრანსფორმაცია

ვიკა უბილავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2022

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ვიკა უბილავა

29/06/2022

აბსტრაქტი

პოსტსაჭოთა პოლიტიკური ელიტების კვლევის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდება, თუმცა ამ მიმართულებით, ნაკლებად არის შესწავლილი საქართველოსა და სომხეთის ქვეყნები. ნაშრომის ძირითადი მიზანი იყო პოსტსაბჭოთა საქართველოსა და სომხეთის ელიტების ტრანსფორმაციის პირველი ტალღის, 80-90 იანი წლების ქრონოლოგიურად შესწავლა და მთავარი მახასიათებლების გამოკვეთა: თუ რა როლი ჰქონდა ელიტებს საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესში და როგორი ფორმით წარიმართა პოლიტიკური დისკურსი დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში.

თითოეულ სახელმწიფოში მიმდინარე პროცესის ასახსნელად გამოყენებულ იქნა კლასიკური და თანამედროვე თეორიების ძირითადი ნარატივი. ჰიპოთეზების შესამოწმებლად შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია: სამაგიდო კვლევაზე დაყრდნობით, შევისწავლე პოსტსაბჭოთა ელიტებზე არსებული მეორეული მასალები, დისკურს ანალიზის გამოყენებით გამოიკვეთა ქვეყნებში არსებული დისკურსული მსჯელობის ხასიათი.

მეორეული მონაცემების გაანალიზების შედეგად დადასტურდა კვლევის ჰიპოთეზები. პირველ რიგში, სსრკ-ში მიმდინარე პროცესებმა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ინიცირებულმა 'გარდაქმნისა' და 'საჯაროობის' პოლიტიკამ განაპირობა მარგინალიზებული ნომენკლატურის ჩანაცვლების მოთხოვნა. ასევე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ელიტის პირველი სტრატა არ გამხდარა დემოკრატიზაციის წინაპირობა და გამოიკვეთა, რომ ქართული ელიტა სუვერენიტეტის მოპოვებამდეც ფრაგმენტირებული იყო, ხოლო სომხური ელიტის თავდაპირველი კონსესუსი მალევე დასრულდა და გამოვლინდა ელიტის გაყოფა.

საკვანძო სიტყვები: სსრკ, საქართველო, სომხეთი, ელიტა, ცირკულაცია, რეპროდუქცია, ნაციონალიზმი, რეფორმა.